ვამტკიცებ
შპს. ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკას“
დირექტორი: /თამარ მაისურაძე/

ბრძანება: №66 15.09.2021

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა „ბრიტანიკა“

სკოლის ექიმის დებულება და საქმიანობის აღწერილობა

ზოგადი დებულებები

1.სკოლის ექიმი სკოლის დირექტორთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს სკოლის თანამშრომელს.
2. ექიმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, დირექტორის სკოლის ტერიტორიაზე სამოქმედოდ გამოცემული ბრძანებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
3. სკოლის ექიმს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სკოლის დირექტორი.
4. ექიმის სახელფასო სარგო განისაზღვრება ხელშეკრულებით.

ექიმის უფლებები და მოვალეობები

თავის უფლებების ფარგლებში ექიმი:
1.ახორციელებს ამ ინსტრუქციის შესაბამისად საქმიანობას , უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას.
2.ხელმძღვანელობს სკოლის სამედიცინო, ჰიგიენურ-სანიტარული პროცესის დაცვას.
3.აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს შემოვლას კლასების, დერეფნების, სასადილოს, ტუალეტის შემოწმების მიზნით და ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდის დირექტორს.
4. თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მოსამზადებელ სამუშაოებს სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის.

ექიმი ვალდებულია

1.დადგენილი ჰქონდეს და იცოდეს სკოლის მოსწავლეთა ზუსტი რაოდენობა.
2.მზადყოფნაში ჰქონდეს სანიტარული კუთხით სასწავლო პროცესისათვის სამედიცინო კაბინეტი, სანიტარული წერტილები სართულების მიხედვით და სასადილო.
3.პირველადი დახმარება გაუწიოს ამბულატორულ ავადმყოფებს.
4. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს ავადმყოფი მოსწავლეები (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა), იზრუნოს სკოლის სამედიცინო მომსახურების ხარისხსა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.
5. გაატაროს საჭირო ღონისძიებები სკოლაში ინფექციური დაავადებების გავრცელების, პრევენციისთვის. საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის უწყებებს;

6. გაუწიოს ზედამხედველობა მოსწავლეთა იმუნიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.
(ჩატარებული გეგმური და არაგეგმური აცრების ისტორიის ამსახველი დოკუმენტების მოთხოვნა მოსწავლის მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და მათი შესწავლა. გამოტოვებული ან/დაუახლოეს პერიოდში აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული ვაქცინაციის ჩატარების აუცილებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის);
7. განახორციელოს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის მოზარდთა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინების რისკები და სხვა;
8. განახორციელოს სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებაზე ზედამხედველობა. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოს ინფორმაცია დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ;
9. გაუწიოს ზედამხედველობა სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას;
10. მიიღოს მონაწილეობა მოსწავლის დღის რეჟიმის, საგაკვეთილო და დასვენების რეჟიმის შემუშავებაში;
11. განახორციელოს მოსწავლეზე ძალადობის, არასათანადო მოპყრობის ან სხვა მსგავსი ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლის დირექციის, სოციალური სამსახურის და სხვა შესაბამისი უწყებების ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
12. ძალადობის მსხვერპლი მოზარდის ამოცნობის/შეფასების, რეფერირებისა და შესაბამისი დოკუმენტირების უზრუნველყოფის მიზნით, მოზარდის მიმართ განხორციელებული ძალადობის ეჭვის, საფუძვლიანი ეჭვისა და დადასტურებულ შემთხვევაში, სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმასთან ერთად შეავსოს ბავშვის მიმართ ძალადობის/სექსუალური ძალადობის დოკუმენტაცია „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის“შესაბამისად;
13. განახორციელოს წლის განმავლობაში დაგროვილი ინფორმაციის ანალიზი (სამედიცინო შემთხვევების რაოდენობა და ტიპები, პერიოდული სამედიცინო შემოწმებით გამოვლენილი განვითარების დარღვევები, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.) და მოამზადოს საჭირო წინადადებები და რეკომენდაციები სკოლის ხელმძღვანელობისათვის წარსადგენად;
14. დაიცვას პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
დაუშვებელია მოსწავლის ჯანმრთელობის პრობლემით მიმართვისას, სკოლის ექიმი შემოიფარგლოს მხოლოდ მის მიერ ჩატარებული სამედიცინო ჩარევით, როცა სახეზეა მოსწავლის სამედიცინო დაწესებულებასთან მიმართვის აუცილებლობა.

15. დაუშვებელია სკოლის ექიმი სასწავლო დაწესებულებაში განსაზღვრული სამუშაო საათების დროს დაკავდეს პარალელური პროფესიული საქმიანობით (სკოლის ექიმს არ ეკრძალება პარალელური ინდივიდუალური საექიმო საქმიანობა ან სამედიცინო დაწესებულებაში საქმიანობა, თუმცა, აღნიშნული საქმიანობა უნდა განახორციელოს მხოლოდ სკოლის ექიმისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების მიღმა).

დაუშვებელია სკოლის ექიმის მხრიდან ნებისმიერი სახის გულგრილობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ.

16.კონკრეტული პირის ავადობისა და მიმართვიანობის ზოგადი სიხშირის, კონკრეტული მიზეზით მიმართვიანობის სტატისტიკისა და სხვა მნიშვნელოვანი მონაცემების მარტივად ადმინისტრირებისთვის გამოიყენება სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალი უნდა მოიცავდეს ისეთ ზოგად ინფორმაციას, როგორიცაა: პაციენტის სახელი, გვარი, კლასი (ასაკი), მიმართვის თარიღი და მიზეზი (დანართი N1.1.1);

17. სკოლის ექიმის მიერ წარმოებული სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა წარმოადგენს სკოლის სამედიცინო დოკუმენტაციას, რომელიც შესაძლებელია წარმოებულ იქნეს როგორც ელექტრონულად, ისე ქაღალდის მატარებელზე და მასზე წვდომა ექნება სკოლის ექიმს.

18.სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი ინახება დახურვიდან 5 წლის ვადით, ხოლო სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა მოსწავლის მიერ სკოლის დამთავრებამდე/სხვა სკოლაში გადასვლამდე, რის შემდეგაც გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს/სრულწლოვან კურსდამთავრებულს სხვა დოკუმენტებთან ერთად. სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი 5 წლის ვადის გასვლისშემდეგ განადგურდება წაშლის/მატერიალურად განადგურების გზით.

ექიმი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

1.დირექტორთან შეაქვს წინადადებები სკოლის თანამშრომლების მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და გამოსწორების შესახებ.

2.დირექტორს წარუდგენს წინადადებებს სკოლის სამედიცინო მომსახურების პროცესის სრულყოფის შესახებ.

3.ასრულებს სკოლის დირექტორის ცალკეულ დავალებებს.

4.ექიმი ასრულებს დირექტორის განსაკუთრებით რთულ და საპასუხისმგებლო დავალებებს.

საქმიანობის აღწერილობა

სკოლაში მუშაობს 1 ექიმი. კაბინეტი განთავსებულია შენობის პირველ სართულზე.

ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობაზე

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო ფორმა მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ მოსწავლის სკოლაში მიღების წინ იყოს შევსებული. ნებისმიერი სამედიცინო ინფორმაცია , მისამართები, ტელეფონები, აცრები და სხვ. უნდა იყოს სკოლის ექიმთან. ინფორმაცია უნდა იყოს ახალი.
ინფორმაცია მოსწავლის და სკოლის თანამშრომელთა ჯანმრთელობის შესახებ კონფიდენციალურია.

წამლები
ისეთი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, როგორიცაა თავის ან ყელის ტკივილი, მოსწავლეებს მშობლის ნებართვით მიეცემათ წამლები.

თუ მოსწავლეს რაიმე მიზეზის გამო სჭირდება სახლიდან მოტანილი წამლების მიღება სასკოლო დროს , მაშინ წამალი უნდა შეინახოს სკოლის ექიმის კაბინეტში და მას თან უნდა ახლდეს მშობლის წერილობითი ნებართვა, მითითებული უნდა იყოს წამლის მიცემის დრო და რაოდენობა. სკოლის ექიმი დაეხმარება მოსწავლეს წამლის მიღებაში.

წამლების ნუსხა, რომლებიც გამოიყენება პირველადი დახმარების დროს

- ✓ სპაზმოლიტიკები (ნოშპა)
- ✓ პიროგენული (პარაცეტამოლი)
- ✓ ანალგეტიკები (ანალგინი)
- ✓ ჰიპოტიაზიდები და სხვა ანტიჰიპერტონული მედიკამენტები (კორვალოლი)
- ✓ ანთების საწინააღმდეგო (დიკლოფენაკი)
- ✓ ანტისეპტიკური ხსნარები (სპირტი, იოდი)
- ✓ ანტიჰისტამინური (პრედნიზოლონი)
- ✓ წნევის ამწევი (კოფეინი)
- ✓ თერმომეტრი, ბამბა, ბინტი, წნევის საზომი აპარატი, ფონედოსკოპი, ერთჯერადი შპრიცები, ერთჯერადი ხელთათმანები, შპატელი, საფენი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება
• უბედური შემთხვევის დროს სკოლა, პირველ რიგში , საქმის კურსში აყენებს მშობლებს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, იძახებს სასწრაფო დახმარების მანქანას. თუ მკურნალობა აუცილებელია, მაგრამ სასწრაფო არ არის , მოსწავლეზე მზრუნველობას მისი მშობელი იჩენს.

• სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში სკოლის ექიმი საქმის კურსში აყენებს ადმინისტრაციას და/ან მშობლებს. მშობლები ვალდებულნი არიან გადაიყვანონ მოსწავლე სახლში ან სამედიცინო დაწესებულებაში. თუ ავადმყოფობა სერიოზულია და მშობლის მოცდის საშუალება არ არის , სკოლა გამოიძახებს სასწრაფო დახმარების მანქანას და ბავშვი გადაყვანილ იქნება საავადმყოფოში.
ავადმყოფმა ბავშვმა შეიძლება გადასდოს ავადმყოფობა სხვა მოსწავლეებს და სკოლის თანამშრომლებს . ამიტომ მოსწავლის მშობელი ვალდებულის წაიყვანოს იგი სახლში.

მოსწავლე სკოლიდან თავისუფლდება:

• თუ მას აქვს სიცხე 37,5 ან მეტი;
• თუ ერევა გული, აღებინებს, აქვს ძლიერი მუცლის ტკივილი;
• თუ აქვს დიარეა;
• თუ არის გაციებული, სტკივა ყელი, მუდმივად ახველებს;
• თუ აქვს გაწითლებული თვალები, გამონადენი თვალიდან;
• თუ აქვს გამონაყარი კანზე;
• თუ არის ეჭვი კანის პარაზიტებზე;
• თუ შესიებული აქვს ჯირკვლები კისერზე;
• თუ სტკივა ყური;
• თუ არის პედიკულოზი;
• თუ აქვს სხვა სერიოზული დაავადებების სიმპტომები.
მოსწავლეებს არ აქვთ უფლება დატოვონ სკოლა ავადმყოფობის მიზეზით ექიმის წერილობითი ნებართვის და სკოლის ადმინისტრაციის საქმის კურსში ჩაყენების გარეშე.

ავადმყოფობის შემდეგ სკოლაში დაბრუნება

მშობელმა უნდა გააგებინოს სკოლას თავისი შვილის ყველა ინფექციური დაავადების შესახებ მანამ, სანამ მოსწავლე დაბრუნდება სკოლაში (ჩუტყვავილა, წითელა, ყბაყურა და სხვა).
მოსწავლეებმა, რომლებმაც გადაიტანეს ეს დაავადებები უნდა წარმოადგინონ ექიმის ცნობა გამოჯანმრთელების შესახებ.
მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ პედიკულოზი არ დაიშვებიან სკოლაში სრულ განკურნებამდე, რასაც ექიმის ცნობა დაადასტურებს.

სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი

(ჟურნალში წარმოებული მონაცემები კონფიდენციალურია)

N	პაციენტის სახელი, გვარი	ასაკი	კლასი	მომართვის მიზეზი	მომართვის თარიღი	კომენტარი

დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა

მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის დასახელება	მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის რაოდენობა	გამოყენების თარიღი	კომენტარი	შემსრულებლის სახელი/გვარი პოზიცია

ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმა

ვადაგასული მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის დასახელება	ვადაგასული მედიკამენტის/ სამედიცინო მასალის რაოდენობა	გამოყენების ვადები ინსტრუქციის მიხედვით	მოხმარებიდან ამოღების თარიღი	შემსრულებლის სახელი/გვარი პოზიცია